როგორ იდეას არ განვიხილავთ?

იდეა არ უნდა შეიცავდეს ზიანის მიყენების საფრთხეს (მათ შორის გარემოსთვის), არ უნდა უწყობდეს ხელს რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციას ან უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას და არ უნდა იყოს კონფლიქტის მიზეზი.

სად და როგორ ვეძებთ?

იდეებს ვეძებთ სოფლად, მთელი სამხრეთ კავკასიის მაშტაბით და ამისთვის ბარიერებს და შეზღუდვებს არ ვაწესებთ. ნებისმიერი ტიპის შეხვედრა, პირადი კავშირები და საუბრები, არაფორმალური თავშეყრის ადგილები შესაძლოა გახდეს ბრწყინვალე იდეების მოძიების საშუალება!

შემოუერთდი იდეების მაძიებელთა გუნდს დღეს!

ქეა საერთაშორისო კავკასიაში

სიღარიბესთან ბრძოლა ღირსების დასაცავად

ცაგარელის ქ. N37,
თბილისი, 0194, საქართველო
(+995 32) 229 13 78; 229 19 41; 229 15 31

WWW.CARE-CAUCASUS.ORG.GE

care®

მახდი იდეების მაძიებელი!

ქეა საერთაშორისო კავკასიაში

ბევრი ჩვენთაგანი ფიქრობს, როგორ შეიძლება დაძლიოს სიღარიბე და უთანასწორობა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ ახერხებს ჩანაფიქრის განხორციელებას საჭირო ფინანსური შესაძლებლობების თუ ტექნიკური უნარების არქონის გამო. ქეა საერთაშორისო კავკასიაში მზად არის შეასრულოს შუამავლის როლი, დაეხმაროს ასეთ ადამიანებს ჩამოაყალიბონ და დახვეწონ მათი ინიციატივები, რათა მოიპოვონ საჭირო დაფინანსება.

თუ ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ აღმოაჩინოთ იდეები, რომლებიც მიმართულია სოფლად არსებული სიღარიბის და სოციალური უსამართლობის აღმოფხვრაზე, შემოუერთდით ქეას იდეების მაძიებელთა გუნდს. დარეგისტრირდით ვებ-გვერდის მეშვეობით www.care-caucasus.org.ge ან მიმართეთ ქეას ოფისს განაცხადის შესავსებად.

WWW.CARE-CAUCASUS.ORG.GE

რას აკეთებს იდეების მაძიებელი?

- მიზანმიმართულად ეძებს სოციალური უსამართლობის და სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებულ იდეებს;
- ეხმარება ავტორს იდეის განვითარებასა და ფორმულირებაში;
- ახდენს მოძიებული იდეების დოკუმენტირებას და წარადგენს ქეაში;
- ინარჩუნებს მუდმივ კონტაქტს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან ახალი იდეების მოსაძიებლად.

იდეების მაძიებელთა გუნდის წარმატებული წევრების წახალისებითვის შემუშავებულია ბონუს-სისტემა.

როგორ იდეებს ვეძებთ?

იდეა მიმართული უნდა იყოს სოციალური უსამართლობის აღმოფხვრაზე, რომლის მაგალითებია: სიღარიბე, ადამიანის უფლებების დარღვევა, არასათანადო საცხოვრებელი პირობები, ხარისხიან ჯანდაცვასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, დისკრიმინაცია ასაკის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა კუთვნილების გამო, გაუმართავი ინფრასტრუქტურა და სამუშაო ადგილების ნაკლებობა სოფლად, კანონის შერჩევითობა, იძულებითი მიგრაცია და ა.შ.

იდეა, იქნება ეს კომერციული თუ არაკომერციული, ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან, მდგრად განვითარებაზე. სასურველია ითვალისწინებდეს ქალების, ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი ადამიანების ან კონფლიქტისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული პირების ინტერესებსა და საჭიროებებს. ინიციატივიას შესაძლოა განხორციელდეს სოციალური საწარმოს მეშვეობით.

care®

რა არის სოციალური უსამართლობა?

სოციალურ უსამართლობას სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები სოფლის მოსახლეობა ასე განმარტავს: „როცა ერთს შეუძლია და მეორეს – არა, როცა ერთისთვის შეიძლება, და მეორესთვის – არა“.

რა არის სოციალური საწარმო?

სოციალური საწარმოს უპირველესი მიზანია სოციალური უსამართლობის დაძლევა სოციო-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების, მოწყვლადი მოსახლეობის დახმარების და თანასწორობის დამკვიდრების გზით. სოციალური საწარმო შეიძლება აწარმოებდეს პროდუქციას, მომხმარებელს სთავაზობდეს მომსახურებას ან ეწეოდეს საზოგადოებისთვის სხვა სასარგებლო საქმიანობას.

WWW.CARE-CAUCASUS.ORG.GE